



6323/3-125/21 2 23062021

6323/3-125/21

23-06-2021

საქართველოს პროკურატურას

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაციას სსსკ-ს რომელი მუხლის საფუძველზე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში „საქართველოს ბანკის“ ფილიალის თავდამსხმელის ბადრი ესებუას ძმა, ბიძინა ესებუა, გამაცნოთ ბრალდების არსი და გამომიგზავნოთ საქმის მასალების ასლები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია



საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
The Prosecutor's Office of Georgia
The Office of the Prosecutor General of Georgia



გორგასლის ქუჩა №24, 0114, თბილისი / 24, Gorgasali street, 0114, Tbilisi, Georgia
ტელ./Telephone: +995 (0) 32 2 405 377 E-mail:international@pog.gov.ge
Web: www.pog.gov.ge;

KARR1373393151021

№13/39444

01 / ივლისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის
წევრს ბატონ იაგო ხვიჩიას

ბატონო იაგო,

თქვენი 2021 წლის 23 ივნისის N6323/3-125/21 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლით განსაზღვრულია პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, პროკურატურის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენით. კერძოდ, მითითებული ნორმების თანახმად, პროკურატურის მიერ წინა წელს განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამასთან, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, წარმოადგენს სხვა პირის პერსონალური და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სხვა პირის პერსონალური მონაცემის გაცემისათვის საჭიროა მონაცემთა სუბიექტის თანხმობა. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე.


ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმის გაცნობისა და მათი ასლების გადაცემის უფლებას ანიჭებს პროცესის მონაწილეებს.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნილი ინფორმაცია უკავშირდება იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირს - ბრალდებულს/მსჯავრდებულს და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე განხორციელებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს.

აღნიშნული ინფორმაციის/მასალების გადმოცემის სამართლებრივი საფუძველი ზემოთ მითითებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე საქართველოს პროკურატურას არ გააჩნია.

პატივისცემით,

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგვდასმულია 
ელექტრონულად

ირაკლი ჩილინგარაშვილი